სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 1

ქ.ქუთაისი 07.09.2023

სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ

კათედრის წევრები:

1. ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (მენტორი მასწავლებელი);

2. მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (მენტორი მასწავლებელი);

3. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორია, საქართველოს ისტორია (მენტორი მასწავლებელი);

4. გიგა ბასილაძე - ისტორია, საქართველოს ისტორია (წამყვანი მასწავლებელი);

5. ქალთამზე მელქაძე-მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება(მენტორი მასწავლებელი);

6. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, დაწყებ

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის თავმჯდომარემ **ქალთამზე მელქაძემ.** მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
3. გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა/განხილვა;
4. პედაგოგთა საათების განაწილება;
5. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;

საკითხი N1. კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა.

მომხსენებელი: საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის უხუცესი წევრი **ქალთამზე მელქაძე.**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, კათედრის მუშაობის პრინციპები, გადაწყვეტილების მიღების წესი. ასევე შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით. ამასთანავე კათედრის წევრებს შეახსენა, რომ კათედრის თავმჯდომარედ ერთი და იმავე პიროვნების არჩევა შესაძლებელია სამჯერ ზედიზედ. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კათედრის წევრებმა უნდა აირჩიოს კათედრის თავმჯდომარე. კათედრის სხდომების ოქმების წარმოებისათვის კი საჭიროა არჩეულ იქნეს მდივანი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: მასწავლებელმა **მურმან სურმავამ,** მან აღნიშნა, რომ ქალთამზე მელქაძის კათედრის თავმჯდომარედ არჩეული იქნა პირველად 2022-2023 სასწავლო წელს და მასზე დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და აწარმოებდა დოკუმენტაციის წარმოებას. რადგან კანონი მისი კანდიდატურის დასახელების უფლებას გვაძლევს მინდა კათედრას ისევ მელქაძე ქალთამზეს კანდიდატურა შევთავაზო კათედრის თავჯდომარედ კათედრის თავმჯდომარედ. ხოლო მდივნად **ზინა ბუბუტეიშვილი.**

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა: სასწავლო წლის ვადით საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს **ქალთამზე მელქაძე,** ხოლო კათედრის მდივნად **ზინა ბუბუტეიშვილი.**

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0

საკითხი N2. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ეროვნული სასაწავლო გეგმიდან გამომდინარე **საგნობრივი კათედრების ფუნქციებია:**
ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი ფუნქციების სათანადოდ შესრულებისათვის აუცილებელია კათედრის წევრებმა შევიმუშაოთ კათედრის სამოქმედო გეგმა. მან კათედრის წევრებს გააცნო 2023-2024 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

აზრი გამოთქვა: მურმან სურმავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა კათედრაში გაერთიანებულ ყველა პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას და ასევე მიმართულებას ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ კათედრის სამოქმედო გეგმისათვის წარმოდგენილი სახით

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

საკითხი N3. გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევა/განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ცვლილება განხორციელდა მეთერთმეტე კლასის საათობრივ ბადეში, კერძოდ მეათე კლასის მსგავსად ისტორია გაიყო ორ ნაწილად საქართველოს ისტორია და ისტორია, ასევე მეთერთმეტე კლასშიც დაემატა საგანი მოქალაქეობა და სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება. მოხდა მე-11 კლასის სახელმძღვანელოების შეცვლა და შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი იქნა მე-11 კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. კათედრის წევრების მიერ შერჩეული იქნა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემდეგი გრიფირებული სახელმძღვანელოები:

- ✔ X კლასი **გეოგრაფია– მ.ბლიაძე, მ.სეხნიაშვილი, შპს ,,სულაკაურის გამომცემლობა“;**
- ✔ X კლასი **საქართველოს ისტორია –ი.ღამბაშიძე,ვ.შატბერაშვილი, გ.ანჩაბაძე, გ.გამყრელიძე, გამომცემლობა შპს ,,ლოგოს პრესი“;**
- ✔ X კლასი ისტორია **-რ.ლაბაძე,ი.ვეშაგური,ნ.ოთხვანი, ლ.ხათრიშვილი,გამომცემლობა შპს ,,ლოგოს პრესი“;**
- ✔ X კლასი **მოქალაქეობა – ნ. ტალახაძე, ნ.კაპანაძე, მ.შავაძე, შპს გამომცემლობა სიდი.**
- ✔ **X კლასი სამოქალაქო განათლება – მ.ტარულიშვილი, ნ. ტალახაძე, შპს გამომცემლობა სიდი.**
- ✔ **XI კლასი გეოგრაფია – მ.ბლიაძე, მ.სეხნიაშვილი, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური;**
- ✔ **XI კლასი ისტორია – ნ.ახმეტელი,ბ.ლორთქიფანიძე, ნ.ფირცხალავა, თ. გოგოლიშვილი,გამომცემლობა დიოგენე;**
- ✔ **XI კლასი საქართველოს ისტორია – ნ.ახმეტელი,ბ.ლორთქიფანიძე, გამომცემლობა დიოგენე;**
- ✔ **XI კლასი მოქალაქეობა – ნ.ტალახაძე,გ.ერქომაიშვილი, გამომცემლობა სიდი;**

რაც შეეხება XII კლასის სახელმძღვანელოებს ჯერ არ შეცვლილა და რჩება წინა წელს გამოყენებული გრიფმინიწებული სახელმძღვანელოები:

- ✔ XI-XII კლასი ისტორია - ნ.კიღურაძე, გ.სანიკიძე, გამომცემლობა ბაკურ სულაკაური;
- ✔ XII კლასი სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ნ.ტალახაძე, გამომცემლობა სიდი;

კათედრის თავმჯდომარემ - **ქალთამზე მელქაძემ** დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელს უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმის 25-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გარდა, სწავლებისას დამატებითი რესურსის სახით გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება.

გეოგრაფია - საატესტატო ტესტების სავარჯიშო (მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია. 2013.)

- გეოგრაფია საატესტატო გამოცდებისთვის თეორიული საკითხები (მ.ბლიაძე, გ.ჭანტურია. 2013.)
- საქართველოს ატლასი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი)
- VII – VIII კლასის მსოფლიოს ატლასი
- მსოფლიოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები, საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები, კავკასიის ფიზიკური რუკა, გლობუსი.

ისტორია - ტესტები ეროვნული გამოცდებისთვის (ნ.ახმეტელი, ბ.ლორთქიფანიძე. 2017)

- საქართველოს ისტორიული ატლასი (მ.სანაძე, თ.ბერაძე. 2003)
- სხვადასხვა ისტორიული რუკები

კათედრის თავმჯდომარემ მოუწოდა კათედრის წევრებს დაემტკიცებინათ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა.

მომხრე - 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0
თავი შეიკავა- 0
კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

2023-2024 სასწავლო წლისათვის გამოსაყენებელი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა განისაზღვროს არსებული ჩამონათვალის მიხედვით.

საკითხი N4. პედაგოგთა საათების განაწილება.

მომხსენებელი: მასწავლებელი **ქალთამზე მელქაძე.**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო პედაგოგებისათვის საათების სავარაუდო გადანაწილების გეგმა. მან აღნიშნა, რომ საათობრივ ბადეში არის განხორციელებული ცვლილებები,რომელიც უშუალოდ საზოგადოებრივ კათედრის წევრებს ეხებათ. კერძოდ საქართველოს ისტორიისა და მოქალაქეობის საათების რაოდენობა განისაზღვრა 1 საათით. ისტორიასა და გეოგრაფიაში გაიყო სადამრიგებლო ჯგუფები მეათე და მეთერთმეტე კლასში. ამან გამოიწვია ახალი მასწავლებლის დამატების აუცილებლობა. ასევე ლიცეუმი აგრძელებს საპილოტე პროგრამაში 10 კლასში თავდაცვა და უსაფრთხოება მონაწილეობას. თავჯდომარემ მოუწოდა კათედრის წევრებს შენიშვნების შემთხვევაში დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი. კათედრის წევრები გაეცნენ სავარაუდო საათობრივ ბადეს და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კათედრის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პედაგოგთა საათების გადანაწილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

პედაგოგთა საათები განაწილდეს შემდეგნაირად:

- ✔ **მოქალაქეობა**

  მელქაძე ქალთამზე - X^1 ,X^2, X^3, X^4, $X^{5,}$, XI^1, XI^2 , XI^3, XI^4; (9 სთ.)
- ✔ **სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება**

  მელქაძე ქალთამზე - X^1 ,X^2, X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2 , XI^3, XI^4; (9 სთ.)
- ✔ **ისტორია და საქართველოს ისტორია**

1. ბუბუტეიშვილი ზინა -X^1, X^2 , X^5 , XI^1, XI^2, XI^4, XII^1 , XII^3. (22 სთ.)
2. ბასილაძე გიგა - X^2, X^3 , X^4, XI^2, XI^3 , XII^1 , XII^2. (22 სთ.)
3. ვაკანსია - X^2, X^3, X^4, X^5, XI^2, XI^3 , XII^2, XII^3.

- ✔ **გეოგრაფია**

1. მაჩიტაძე ბესიკი - X^1, X^2, X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2, XI^3, XI^4. (14 სთ.)
2. სურმავა მურამანი - X^1, X^2, X^3, X^4, X^5, XI^1, XI^2, XI^3, XI^4. (12 სთ.)

- ✔ **თავდაცვა და უსაფრთხოება**

  ნიკოლოზი ნემსიწვერიძე - X^1, X^2, X^3 , X^4 , X^5 , XII^1 , XII^3 , XII^3 (8 სთ.)

მომხრე - 6 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

საკითხი N5. ***შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა/გადახედვა;***

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე **ქალთამზე მელქაძე**

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა გააკეთოს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კერძოდ, კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები. კათედრის ფუნქციაა, კოორდინირება გაუწიოს მასწავლებელების მიერ შემაჯამებელი დავალებების ჩატარებას და მოახდინოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი.

აზრი გამოთქვა: კათედრის წევრმა **ბესიკი მაჩიტაძემ** აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვიჩვენებს მოსწავლეების მიერ მიმდინარე თემების ათვისების ხარისხს, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ინდივიდუალურად იმუშავოს მოსწავლეებთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

თავმჯდომარემ კათედრის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -6
წინააღმდეგი:-0
თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზების ფორმებით.

სხდომის დასრულების დრო: 13:30 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი **/ზ.ბუბუტეიშვილი/**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე **/ქ. მელქაძე/**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 2

ქ.ქუთაისი 04.10. 2023

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი;
2. მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი;
3. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი (კათედრის მდივანი)
4. გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი
5. ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება (კათედრის თავმჯდომარე)
6. ნათია კენჭაძე - ისტორიის მასწავლებელი;

7. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - დაწყებითი სამხედრო მომზადება.

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 6 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:
1.ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეების მომზადების საკითხის განხილვა;

საკითხი #1: ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეების მომზადების საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე
მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი. მან კათედრის წევრებს შეახსენა, რომ ლიცეუმის კადეტები ყოველ სასწავლო წელს ღებულობენ მონაწილეობას ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. აუცილებელია დაიწყოს მოსწავლეების აქტიური მზადება ეროვნული და კერძო ოლიმპიადებისათვის, რადგან ოლიმპიადების მიზანია სწავლისადმი ინტერესების გაღვიძება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და მათი წახალისება, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ ლიცეუმისათვის.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: მურმან სურმავამ და გიგა ბასილაძემ, მათ აღნიშნეს მოსწავლეთა მონდომება და წარმატება წინა სასწავლო წლებში. იმისათვის, რომ კადეტებმა წარმატებებს მიაღწიონ საჭიროა, მასწავლებლებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ოლიმპიადებისთვის სათანადოდ მომზადებაში, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებები იქნეს მიღწეული.
კათედრის თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: - 6
წინააღმდეგი:-0

დაადგინეს: კათედრის წევრებმა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა მოახდინონ კადეტთა მომზადება ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ინდივიდუალურად შეადგინონ მეცადინეობის გრაფიკი თითოეულ კადეტთან.

სხდომის დასრულების დრო: 16:45 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ. ბუბტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ.მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 3

ქ.ქუთაისი 28.12.2023 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი (კათედრის თავმჯდომარე);
2. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი (მდივანი);
3. ბესიკი მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი;
4. მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი;
5. გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი;
6. ნათია კენჭაძე - ისტორიის მასწავლებელი;
7. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ ქალთამზე მელქაძემ. მან კათედრის წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;
2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

საკითხი #1: პირველი სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო I სემესტრში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია:
2023-2024 სასწავლო წლის I სემესტრის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი

- ✔ eTwininng-პორტალზე აქტიური თანამშრომლობისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გადაეცა სერტიფიკატი;
- ✔ დასწრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ eTwininng პორტალის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“;
- ✔ მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N3014 24.10.2023) გადაეცა მადლობის სიგელი;
- ✔ ბესიკ მაჩიტაძის ფასილიტატორობით სასწავლო-შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში კადეტებმა და პოლონელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოსა და პოლონეთის შესახებ;
- ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 14 კადეტი;
- ✔ I კურსზე განახორციელა პროექტი „ჩემი მხარის ტურისტული გიდი“.

მურმან სურმავა -გეოგრაფიის მასწავლებელი

- ✔ მენტორი მასწავლებლის სამკერდე ნიშანი;
- ✔ მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- ✔ საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამადლობელი სიგელი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 5 კადეტი.

ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი

- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ისტორიაში- მე-12 კლასი თემა: „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“;
- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ისტორიაში- მე-10 კლასი. თემა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“;
- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 14 მოსწავლე;
- ✔ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება იწყება სკოლიდან“.

გიგა ბასილაძე -ისტორია მასწავლებელი

- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 12 კადეტი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ მუშაობს მეთორმეტე კლასის კადეტებთან ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით.

ნათია კენჭაძე- ისტორიის მასწავლებელი

- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 281 კადეტი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ მუშაობს მეთორმეტე კლასის კადეტებთან ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით.

ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლების მასწავლებელი

- ✔ მენტორი მასწავლებლის სამკერდე ნიშანი;
- ✔ მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- ✔ საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამადლობელი სიგელი;
- ✔ მასწავლებელთა სასკოლო მასშტაბური კონფერენცია ბათუმში;

- ✔ კონფერენცია ,,მედიაწიგნიერება-უნარი სწორად ორიენტირებისათვის“
- ✔ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება იწყება სკოლიდან“.

კათედრის წევრების მიერ წლის დასაწყისში შეიქმნა საგნობრივი წრეები, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო გეგმები. I სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობა მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე კვირაში ტარდებოდა მინიმუმ საათ ნახევარი. ძირითადად საწრეო მუშაობა ხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მომზადებაში, საწრეო მუშაობა გაგრძელდება მეორე სემესტრშიც.

- ❖ გეოგრაფიის წრეში ირიცხება 18 კადეტი;
- ❖ ისტორიის წრეში ირიცხება 16 კადეტი;

საკითხი N2. პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ კათედრის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა შესრულებული დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევარის რამდენიმე ნიმუში თითოეული კლასის შემაჯამებლების საშუალო ქულები. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე გაერთიანებულ თითოეულ საგანში კლასების მიხედვით ჩატარდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებები. თითოეულმა მასწავლებელმა კათედრის სხდომაზე წარმოადგინა მათ მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: ისტორიის მასწავლებელმა მურმან სურმავამ აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვეხმარება გავანალიზოთ თითოეულ კლასში ჩატარებული სამუშაოები. უკეთესი შედეგის მისაღებად, დავგეგმოთ ამ კლასში განსახორიელებელი ღონისძიებები და ა.შ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზი. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 15:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ.მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა
ოქმი № 4

ქ.ქუთაისი 15.01.2024 წ.

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

კათედრის წევრები:

კათედრის წევრები:

1. ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლების პროექტებით სწავლება (კათედრის თავმჯდომარე);
2. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მასწავლებელი (მდივანი);
3. ბესიკი მაჩიტაძე - გეოგრაფიის მასწავლებელი;
4. მურმან სურმავა - გეოგრაფიის მასწავლებელი;
5. გიგა ბასილაძე - ისტორიის მასწავლებელი;
6. ნათია კენჭაძე - ისტორიის მასწავლებელი;
7. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ქალთამზე მელქაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 7 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. მეორე სემესტრში ჩასატარებელი აქტივობების შესახებ.

/ქ.მელქაძე/

2. სემესტრული გამოცდის ჩატარების შესახებ.

/ქ.მელქაძე/

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავებული აქვს კათედრის სამოქმედო გეგმა.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიაში ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 19 კადეტმა და ისტორიაში კი 54 კადეტმა.თებერვლის დასაწყისში უკვე გვეცოდინება რამდენი კადეტი მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიადის მესამე ტურში.

იმისათვის, რომ კადეტებმა წარმატებით გაიარონ ოლიმპიადის მესამე ტური საჭიროა დამატებითი მუშაობა მათთან და შესამუშავებულია დამატებითი მუშაობის გეგმა. ასევე მნიშვნელოვანია

კათედრის წევრების მიერ დაგეგმილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო პროექტებზე მუშაობა.

აზრი გამოთქვა: ბესიკი მაჩიტაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა კათედრაში გაერთიანებულ ყველა პედაგოგს აძლევს შესაძლებლობას და ასევე მიმართულებას ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა. პროექტების განხორციელება ხელს უწყობს კადეტების ჩართულობის გაზრდასა და დაინტერესებას.

დაადგინეს: მეორე სემესტრში გაგრძელდეს საწრეო მუშაობები ისტორიასა და გეოგრაფიაში. დაიგეგმოს დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობები, როგორც საგნობრივად,ასევე ინტეგრირებულად.

2. სემესტრული გამოცდის ჩატარების შესახებ.

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23[1] -ის შესაბამისად:

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამ შემთხვევაში, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

2. მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

3. სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

4. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესახებ 35 კადე ტის მშობელმა შეიტანა განცხადება, მათ შორის ისტორიაში 4 კადეტმა და საქართველოს ისტორიაში 2 კადეტმა. ლიცეუმის დირექტორის გადაწყვეტილებით სემესტრულ გამოცდაზე დაშვებულია შემდეგი კადეტები

ისტორია

1.თარგამაძე აკაკი - 10-3 სასწავლო ჯგუფი;

2. დვალიშვილი ვახტანგი - 11-1 სასწავლო ჯგუფი;

3. შამათავა კობა - 11-4 სასწავლო ჯგუფი;

4. შეყილაძე დავითი -11-4 სასწავლო ჯგუფი.

საქართველოს ისტორია

1. ცქიფურიშვილი ნიკოლოზი - 11-4 სასწავლო ჯგუფი;

2. ჭეიშვილი ვლადიმერი - 11-4 სასწავლო ჯგუფი.

სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით ისტორიის მასწავლებლებმა ზინა ბუბუტეიშვილმა და ნათია კენჭაძემ უნდა უზრუნველყოს ტესტების გამზადება.

აზრი გამოთქვეს: ზინა ბუბუტეიშვილმა და ნათია კენჭაძემ, მათ აღნიშნეს,რომ ტესტებზე მუშაობა დასრულებული აქვთ და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ რიცხვში შეძლებენ სემესტრული გამოცდის ჩატარებას.

დადგინეს: ისტორიის საგნის მასწავლებლებმა ზინა ბუბუტეიშვილმა და ნათია კენჭაძემ უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დღეს უზრუნველყონ სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარება.

სხდომის დასრულების დრო: 17:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ. მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 7

ქ.ქუთაისი 18.06. 2024

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი;
2. .მურმან სურმავა - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი;
3. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მენტორი მასწავლებელი (კათედრის მდივანი);
4. გიგა ბასილაძე - ისტორიის წამყვანი მასწავლებელი;
5. ნატია კენჭაძე - ისტორიის წამყვანი მასწავლებელი;
6. ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება (კათედრის თავმჯდომარე);
7. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.
კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:
მომხრე - 7 მასწავლებელი
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.
დღის წესრიგი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;
2. მეორე სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

საკითხი #1: მეორე სემესტრის შედეგების განხილვა/ანგარიში;

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო II სემესტრში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციამან აღნიშნა, რომ 2023–2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო პროცესი კადეტთა სამხედრო ლიცეუმში წარიმართა ეროვნული სასწვლო გეგმის შესაბამისად. თითეულ სასწავლო ჯგუფს ჩაუტარდა ესგ–ით განსაზღვრული რაოდენობის შემაჯამებელი სამუშაო. უნდა ავღნიშნოთ რომ კადეტთა აფსოლუტურმა უმრავლესობამ შესძლო სასწავლო მასალის სრულად ათვისება და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შინაგანაწესით განსაზღვრული ბარიერის დაძლევა.
    კადეტები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში. ლიცეუმში სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგნობრივი წრეების მუშაობა, სადაც განიხილებოდა ცალკეული პროცესები და მასთან დაკავშირებული მოვლენები.
2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ eTwininng-პორტალზე აქტიური თანამშრომლობისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გადაეცა სერტიფიკატი (ბესიკ

მაჩიტაძის პორტფოლიო: eTwinning-ის პროგრამის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია! (besikmachitadze.blogspot.com))

- ✔ დასწრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ eTwininng პორტალის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“
- ✔ მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N3014 24.10.2023) გადაეცა მადლობის სიგელი (ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: მადლობის სიგელი (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ ბესიკ მაჩიტაძის ფასილიტატორობით სასწავლო-შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში კადეტებმა და პოლონელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოსა და პოლონეთის შესახებ. ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: პოლონელი სტუმრები ლიცეუმში (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 14 კადეტი, ხოლო მესამე ტურში გადავიდა (ბუაძე ნიკოლოზი და მარღია დავითი)
- ✔ I კურსზე განახორციელა პროექტი „ჩემი მხარის ტურისტული გიდი“
- ✔ ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგი "გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში" ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: ტრენინგი "გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში" (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ სადამრიგებლო პროექტი „ქართველი გმირი“ - უფროსი ლეინტენანტი მუხრან შუკვანი ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: ქართველი გმირი (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ გასვლითი გაკვეთილი სათაფლიის დაცული ტერიტორია თემაზე „მდგრადი ტურიზმი საქართველოში“ ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: გასვლითი გაკვეთილი (besikmachitadze.blogspot.com)

მურმან სურმავა -გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ სადამრიგებლო პროექტი „გიორგი მაზნიაშვილი“
- ✔ ოლიმპიადის III ტურში გადავიდა 3 კადეტი (გ.მსხვილიძე, გ.ბლიაძე, ი.ბაღაური
- ✔ ტრენინგი „გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში“.
- ✔ სასწავლო კვლევითი კონფერენცია - ა.ორმოცაძე III ტურის ფინალისტი
- ✔ ღია გაკვეთილი - „ეკომიგრაცია“.
- ✔ სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში ექსკურსია გურიისა და აჭარის რეგიონში.

ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ საქართველოს განათლებისა და ბიზნესის აკადემია- მასტერკლასი „კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი“ 23.03.2024წ
- ✔ ფრანკოფონიის კვირეული ფარგლებში ჩართულობა
- ✔ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება- კონკურსი- „ქუთაისის მემატიანე“- 1 ადგილი , ცქიფურიშვილი ნიკოლოზი, სულაბერიძე ვახტანგი -კლასი 11-4
- ✔ ლონდონის საერთაშორისო სკოლის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო პროექტი: „მეცნიერება იწყება სკოლიდან- ჩვენ, როგორც ნორჩი მეცნიერები“, სადაც ჩართული იყო შემდეგი მოსწავლეები: ცქიფურიშვილი ნიკოლოზი, სულაბერიძე ვახტანგი, ცინცაძე მარიამი, ჭელიძე მარიამი და გოლეთიანი ნინი.
- ✔ გაკვეთილი:-„რატომ დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო“? 2024წ აპრილი -კლასი 11-4.
- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მესამე ტურში გადავიდა ორი მოსწავლე: ჯიმშიტაშვილი დავითი და სულაბერიძე ვახტანგი. დავითმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მესამე ტურზე გამოცხადება, ხოლო ვახტანგმა დაიკავა მე-17 ადგილი.

გიგა ბასილაძე -ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

- ✔ 12-მა კადეტმა მოახერხა და გადავიდა ისტორიის ოლიმპიადის მეორე ტურში.
- ✔ ლიცეუმში სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიის საგნობრივი წრის მუშაობა, სადაც განვიხილავდით ცალკეულ ისტორიულ პროცესებს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს.
- ✔ მუშაობა მე-12 კლასელებთან ისტორიის ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით.

ნათია კენჭაძე- ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

- ✔ 30.01.24 პირველი სასწავლო ჯგუფის მეოთხე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში;
- ✔ 06.02.24 პირველი სასწავლო კურსისი მესამე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში;
- ✔ 23.03.24 მასტერკლასი -კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი
- ✔ 11.04.24 მესამე სასწავლო კურსისი მესამე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში
- ✔ 22.04.24 ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში - როგორ განვითარდა მოვლენები იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებში რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ“ - მეორე კურსის მესამე ჯგუფი

ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება მენტორი მასწავლებელი

- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ვანში სადამრიგებლო კლასთან;
- ✔ სადამრიგებლო პროექტი; ,,ბევრნი ვიყავით ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ“. შინდისის გმირები.
- ✔ მანანა ჯინჭარაძის მასტერკლასი - ,,კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი - სარგებელი განათლებისათვის'' - 23 მარტი - ქუთაისი - სასტუმრო: "KUTAISIINN".
- ✔ საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნული აკადემია GNAEB განათლების საერთაშორისო აკადემიის და ინკლუზიური განათლების ინსტიტუტი IIE -ს ერთობლივი კონფერენცია - "სამართლებრივი კულტურის გაძლიერება სასკოლო ცხოვრებაში" - ბათუმი , 8 ივნისი.
- ✔ გაკვეთილი ,,არასრულწლოვანთა ქორწინება”.
- ✔ ინგლისური ენის მასწავლებელ ნინო ოყრეშიძესთან ერთად დავით აღმაშენებლის სახელობიე ეროვნულ თავდაცვის აკადემიის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია ,,კადეტთა სამხედრო ლიცეუმი და ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

კათედრის წევრების მიერ წლის დასაწყისში შეიქმნა საგნობრივი წრეები, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო გეგმები. II სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობა მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე კვირაში ტარდებოდა მინიმუმ საათ ნახევარი. მუშაობამ შედეგი გამოიღო და კადეტები ოლიმპიადის მესამე ეტაპზე გადავიდნენ.

გეოგრაფიის წრეში ირიცხება 12 კადეტი;

ისტორიის წრეში ირიცხება 24 კადეტი;

აზრი გამოთქვეს: გიგა ბასილაძემ და ბესიკ მაჩიტაძემ, მათ აღნიშნეს,რომ 2023-2024 წლის მეორე სემესტრში კათედრის წევრების მიერ დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა განხორციელებული იქნა.

დაადგინეს: 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში კათედრის მუშაობა შეფასდეს დადებითად.

საკითხი N2. მეორე სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე

მოისმინეს: ქალთამზე მელქაძემ კათედრის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა შესრულებული დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული ნამუშევარის რამდენიმე ნიმუში თითოეული კლასის შემაჯამებლების საშუალო ქულები. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე გაერთიანებულ თითოეულ საგანში კლასების მიხედვით ჩატარდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებები. თითოეულმა მასწავლებელმა კათედრის სხდომაზე წარმოადგინა მათ მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: ისტორიის მასწავლებელმა ზინა ბუბუტეიშვილმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი გვეხმარება გავანალიზოთ თითოეულ კლასში ჩატარებული სამუშაოები. უკეთესი შედეგის მისაღებად, დავგეგმოთ ამ კლასში განსახორიელებელი ღონისძიებები და ა.შ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგად კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო: 17:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ.მელქაძე/

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

ოქმი № 8

ქ.ქუთაისი 21.06.2024

სხდომის დაწყების დრო: 11:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები:

1. ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი;
2 .მურმან სურმავა - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი;
3. ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მენტორი მასწავლებელი (კათედრის მდივანი);
4. გიგა ბასილაძე - ისტორიის წამყვანი მასწავლებელი;
5. ნატია კენჭაძე - ისტორიის წამყვანი მასწავლებელი;
6. ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება (კათედრის თავმჯდომარე);
7. ნიკოლოზ ნემსიწვერიძე - სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებელი.

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე- 7 მასწავლებელი
წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

საკითხი #1: 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამება

მომხსენებელი: კათედრის თავმჯდომარე ქალთამზე მელქაძე
მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ წევრებს შეახსენა, რომ კათედრა თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავებული აქვს კათედრის სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია დღეს შევაჯამოთ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელებული აქტივობები:
2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ბესიკ მაჩიტაძე - გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ eTwininng-პორტალზე აქტიური თანამშრომლობისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გადაეცა სერტიფიკატი;
- ✔ დასწრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ eTwininng პორტალის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“;
- ✔ მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N3014 24.10.2023) გადაეცა მადლობის სიგელი;
- ✔ ბესიკ მაჩიტაძის ფასილიტატორობით სასწავლო-შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში კადეტებმა და პოლონელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოსა და პოლონეთის შესახებ;
- ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 14 კადეტი;
- ✔ I კურსზე განახორციელა პროექტი „ჩემი მხარის ტურისტული გიდი“.
- ✔ eTwininng-პორტალზე აქტიური თანამშრომლობისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გადაეცა სერტიფიკატი (ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: eTwinning-ის პროგრამის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია! (besikmachitadze.blogspot.com))
- ✔ დასწრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ eTwininng პორტალის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტი განათლებაში“
- ✔ მასწავლებელთა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N3014 24.10.2023) გადაეცა მადლობის სიგელი (ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: მადლობის სიგელი (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ ბესიკ მაჩიტაძის ფასილიტატორობით სასწავლო-შემეცნებითი პროგრამის ფარგლებში კადეტებმა და პოლონელმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოსა და პოლონეთის შესახებ. ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: პოლონელი სტუმრები ლიცეუმში (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ გეოგრაფიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 14 კადეტი, ხოლო მესამე ტურში გადავიდა (ბუაძე ნიკოლოზი და მარღია დავითი)
- ✔ I კურსზე განახორციელა პროექტი „ჩემი მხარის ტურისტული გიდი“
- ✔ ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგი "გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში" ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: ტრენინგი "გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში" (besikmachitadze.blogspot.com)
- ✔ სადამრიგებლო პროექტი „ქართველი გმირი“ - უფროსი ლეინტენანტი მუხრან შუკვანი ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: ქართველი გმირი (besikmachitadze.blogspot.com)

- ✔ გასვლითი გაკვეთილი სათაფლიის დაცული ტერიტორია თემაზე „მდგრადი ტურიზმი საქართველოში“ ბესიკ მაჩიტაძის პორტფოლიო: გასვლითი გაკვეთილი (besikmachitadze.blogspot.com)

მურმან სურმავა -გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ მენტორი მასწავლებლის სამკერდე ნიშანი;
- ✔ მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- ✔ საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამადლობელი სიგელი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ ოლიმპიადის მეორე ტურში გადავიდა 5 კადეტი;
- ✔ სადამრიგებლო პროექტი „გიორგი მაზნიაშვილი“;
- ✔ ოლიმპიადის III ტურში გადავიდა 3 კადეტი (გ.მსხვილიძე, გ.ბლიაძე, ი.ბაღაური;
- ✔ ტრენინგი „გეოსაინფორმაციო სისტემები სამხედრო ტოპოგრაფიაში“;
- ✔ სასწავლო კვლევითი კონფერენცია - ა.ორმოცაძე III ტურის ფინალისტი;
- ✔ ღია გაკვეთილი - „ეკომიგრაცია“;
- ✔ სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში ექსკურსია გურიისა და აჭარის რეგიონში.

ზინა ბუბუტეიშვილი - ისტორიის მენტორი მასწავლებელი

- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ისტორიაში- მე-12 კლასი თემა: „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“;
- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულსა და ისტორიაში- მე-10 კლასი. თემა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“;
- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 14 მოსწავლე;
- ✔ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება იწყება სკოლიდან“.
- ✔ საქართველოს განათლებისა და ბიზნესის აკადემია- მასტერკლასი „კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი“ 23.03.2024წ
- ✔ ფრანკოფონიის კვირეული ფარგლებში ჩართულობა
- ✔ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება- კონკურსი- „ქუთაისის მემატიანე“- 1 ადგილი , ცქიფურიშვილი ნიკოლოზი, სულაბერიძე ვახტანგი -კლასი 11-4

- ✔ ლონდონის საერთაშორისო სკოლის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო პროექტი: „მეცნიერება იწყება სკოლიდან- ჩვენ, როგორც ნორჩი მეცნიერები“, სადაც ჩართული იყო შემდეგი მოსწავლეები: ცქიფურიშვილი ნიკოლოზი, სულაბერიძე ვახტანგი, ცინცაძე მარიამი, ჭელიძე მარიამი და გოლეთიანი ნინი.
- ✔ გაკვეთილი:-„რატომ დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო“? 2024წ აპრილი -კლასი 11-4
- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მესამე ტურში გადავიდა ორი მოსწავლე: ჯიმშიტაშვილი დავითი და სულაბერიძე ვახტანგი. დავითმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მესამე ტურზე გამოცხადება, ხოლო ვახტანგმა დაიკავა მე-17 ადგილი.

გიგა ბასილაძე -ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 12 კადეტი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ მუშაობს მეთორმეტე კლასის კადეტებთან ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით;
- ✔ 12-მა კადეტმა მოახერხა და გადავიდა ისტორიის ოლიმპიადის მეორე ტურში;
- ✔ ლიცეუმში სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიის საგნობრივი წრის მუშაობა, სადაც განვიხილავდით ცალკეულ ისტორიულ პროცესებს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს;
- ✔ მუშაობა მე-12 კლასელებთან ისტორიის ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით.

ნათია კენჭაძე- ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

- ✔ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა- მეორე ტურში გადავიდა 281 კადეტი;
- ✔ სემესტრის განმავლობაში ატარებდა საწრეო მუშაობას;
- ✔ მუშაობს მეთორმეტე კლასის კადეტებთან ეროვნული გამოცდების სააბიტურო საკითხებთან დაკავშირებით;
- ✔ 30.01.24 პირველი სასწავლო ჯგუფის მეოთხე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში;
- ✔ 06.02.24 პირველი სასწავლო კურსისი მესამე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში;
- ✔ 23.03.24 მასტერკლასი -კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი;
- ✔ 11.04.24 მესამე სასწავლო კურსისი მესამე ჯგუფის გასვლითი გაკვეთილი ვანში;

- ✔ 22.04.24 ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში - როგორ განვითარდა მოვლენები იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებში რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ“ - მეორე კურსის მესამე ჯგუფი.

ქალთამზე მელქაძე - მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლება პროექტებით სწავლება

- ✔ მენტორი მასწავლებლის სამკერდე ნიშანი;
- ✔ მენტორი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- ✔ საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამადლობელი სიგელი;
- ✔ მასწავლებელთა სასკოლო მასშტაბური კონფერენცია ბათუმში;
- ✔ კონფერენცია ,,მედიანწიგნიერება-უნარი სწორად ორიენტირებისათვის“
- ✔ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება იწყება სკოლიდან“.
- ✔ გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილი ვანში სადამრიგებლო კლასთან;
- ✔ სადამრიგებლო პროექტი; ,,ბევრნი ვიყავით ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ“. შინდისის გმირები.
- ✔ მანანა ჯინჭარაძის მასტერკლასი - ,,კრიტიკული აზროვნების 5 ძირითადი ნიშანი - სარგებელი განათლებისათვის'' - 23 მარტი - ქუთაისი - სასტუმრო: "KUTAISIINN".
- ✔ საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნული აკადემია GNAEB განათლების საერთაშორისო აკადემიის და ინკლუზიური განათლების ინსტიტუტი IIE -ს ერთობლივი კონფერენცია - "სამართლებრივი კულტურის გაძლიერება სასკოლო ცხოვრებაში" - ბათუმი , 8 ივნისი.
- ✔ გაკვეთილი ,,არასრულწლოვანთა ქორწინება”
- ✔ ინგლისური ენის მასწავლებელ ნინო ოყრეშიძესთან ერთად დავით აღმაშენებლის სახელობიე ეროვნულ თავდაცვის აკადემიის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია ,,კადეტთა სამხედრო ლიცეუმი და ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

კათედრის წევრების მიერ წლის დასაწყისში შეიქმნა საგნობრივი წრეები, მათ მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო გეგმები. 2023-2024 სასწავლო სასწავლო წლის განმავლობაში საწრეო მუშაობა მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე კვირაში ტარდებოდა მინიმუმ საათ ნახევარი. მუშაობამ შედეგი გამოიღო და კადეტები ოლიმპიადის მესამე ეტაპზე გადავიდნენ.

გეოგრაფიის წრეში ირიცხება 12 კადეტი;

ისტორიის წრეში ირიცხება 14 კადეტი;

2023–2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი კადეტთა სამხედრო ლიცეუმში წარიმართა ეროვნული სასწვლო გეგმის შესაბამისად. თითეულ სასწავლო ჯგუფს ჩაუტარდა ესგ–ით განსაზღვრული რაოდენობის შემაჯამებელი სამუშაო. უნდა ავღნიშნოთ რომ კადეტთა აფსოლუტურმა უმრავლესობამ შეძლო სასწავლო მასალის სრულად ათვისება და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შინაგანაწესით განსაზღვრული ბარიერის დაძლევა.

კადეტები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში. ლიცეუმში სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგნობრივი წრეების მუშაობა, სადაც განიხილებოდა ცალკეული პროცესები და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

სასწავლო წლის ბოლოს პირველი კურსის კადეტებს ჩაუტარდათ ისტორიის საგნობრივი გამოცდა, რომელშიც კადეტთა უმრავლესობამ აჩვენა საგნობრივი მომზადების მაღალი დონე. წლის ბოლოს 7 ქულიანი ბარიერი ისტორიაში ვერ დააკმაყოფილა 13 კადეტმა და გეოგრაფიასი 1 კადეტმა, შესაბამისად მათ დაენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. ახალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი ენერგიით შევუდგებით მუშაობას.

აზრი გამოთქვეს: ზინა ბუბუტეიშვილმა და მურმან სურმავამ .მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები წარმატებით განხორციელდა და კადეტების ჩართულობა იყო მაქსიმალური.მათი დაინტერესება იყო მაღალი. კათედრის წევრებიდან სამმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და ეს არის დიდი წარმატება.

დაადგინეს: 2023-2024 სასწავლო წელს კათედრის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და კათედრის წევრებმა დაიწყოს მომავალი სასწავლო წლისათვის განსახორციელებელ აქტივობების დაგეგმვაზე მუშაობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა. სხდომის დასრულების დრო: 13:00 სთ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

მდივანი /ზ.ბუბუტეიშვილი/

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის

თავმჯდომარე /ქ.მელქაძე/